8

F550 w 7452

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლება ჩხვაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
3
სექტემბერი
№ 104 (10497)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

[library stamp]

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურის განკარგულება

## 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავების და დაცვის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონული შტაბის ჩამოყალიბების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის 1991 წლის 5 აგვისტოს ბრძანებულების „საქართველოს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის შესახებ"— შესასრულებლად ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურასთან ჩამოყალიბდეს 1991 წლის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღების, დაბინავებისა და დაცვის ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის რაიონული შტაბი შემადგენლობით:

პ. ჩუხუა—ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოადგილე (შტაბის უფროსი),

ს. ლაგვილავა—ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარე (შტაბის უფროსის მოადგილე);

შტაბის წევრები:

თ. ცირამუა—ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე;

ი. მესხი—ზუგდიდის შინაგან საქმეთა რაიონული და საქალაქო განყოფილების უფროსის პირველი მოადგილე;

პ. ქირია—ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პროკურორის მოადგილე;

გ. თოდუა—ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინერ-მექანიზატორი;

ვ. ლუკავა—ზუგდიდის სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოო გაერთიანების წამყვანი აგრონომი;

ჯ. კვარაცხელია—ზუგდიდის ნავთობბაზის დირექტორი;

ზ. წულეისკირი—ზუგდიდის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის დირექტორი:

ბ. ბაბილონია—ავტოკოლონა 2189-ის უფროსი;

აა. ჭანტურია—გაზეთ „ოდიშის" რედაქტორი;

ს. ყავლაშვილი—ნამეტი პროდუქტების დამზადების სამეურნეობათშორისო საწარმოს დირექტორი.

2. შტაბის ძირითად ამოცანად განისაზღვროს რაიონის მასშტაბით მოსავლის აღების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მომსახურე საწარმოთა, ორგანიზაციათა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენება დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

ამ მიზნით:

—მიიღოს ზომები ტექნიკით საწვავ-საცხებით, მასალებითა და სხვა მატერიალური რესურსებით საზოგადოებრივი მეურნეობების მომარაგების გაუმჯობესებისათვის;

—უზრუნველყოს მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სახელმწიფო დაკვეთის აუცილებელი შესრულებისათვის რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების მოთხოვნილებათა რეალიზაცია;

—სამუშაოთა მიმდინარეობის მთელ პერიოდში სისტემატურად განიხილოს სოფლის გამგებლებთან და მეურნეობათა ხელმძღვანელებთან ერთად შექმნილი მდგომარეობა და ოპერატიულად განახორციელოს ზომები მოსავლის უდანაკარგოდ აღება-დაბინავებისათვის;

—რაიონული შტაბის შეკრებები ჩატარდეს კვირაში ორჯერ, ყოველ სამშაბათს და პარასკევს 18 საათზე, და საჭიროების მიხედვით.

3. სოფლების საკრებულოთა გამგებლებმა მოსავლის უდანაკარგოთ აღების, დაბინავებისა და დაცვის მიზნით ჩამოაყალიბონ ანალოგიური ადგილობრივი შტაბები;

4. ადგილობრივმა შტაბებმა უზრუნველყონ მოსავლის ამღები ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების სრული მზადყოფნა და მობილიზება;

—განახორციელონ მოსავლის აღების, გადაზიდვისა და შენახვის პროცესში პროდუქციის ზუსტი აღრიცხვისა და მისი დანაკარგების აღკვეთისათვის საჭირო ყველა ღონისძიება;

—გააქტიურონ და გაშალონ მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსავლის დატაცება-განიავების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, თითოეული ასეთი ფაქტი გახადონ მკაცრი მსჯელობის საგანი;

—განუმარტონ მოსახლეობას, რომ ამჟამად სოფლის მეურნეობის მოსავლისათვის ბრძოლა ემსახურება სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უზენაეს მიზანს, რომ მოწეული მოსავლის თითოეული მარცვალი, თითოეული კილოგრამი ეროვნული საკუთრებაა და მისი ხელყოფა ეროვნული სიმდიდრის ხელყოფის ტოლფასია;

5. გაზეთ „ოდიშის" რედაქციამ ოპერატიულად მიაწოდოს მასალები მოსახლეობას მოსავლის აღების მიმდინარეობის, რაიონული და ადგილობრივი შტაბების, სამართალდამცავი ორგანოების, საზოგადოებრივ მეურნეობათა შრომითი კოლექტივების მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ;

6. აღნიშნული განკარგულება დაეგზავნოს რაიონის ყველა სოფლის საკრებულოს და გამოქვეყნდეს პრესაში.

7. კონტროლი ამ განკარგულების შესრულებისადმი ეკისრება ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტს.

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტი
თ. ქორქოლიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

## დადგენილება

### „პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი 1991 წლის 10 აგვისტო.

## მოსავალი უდანაკარგოდ

### (მუშაობას შეუდგა რაიონული შტაბი)

30 აგვისტოს გაიმართა მიმდინარე წლის მოსავლის უდანაკარგოდ აღების, დაცვისა და დაბინავების ხელმძღვანელობის რაიონული შტაბის პირველი სხდომა.

შტაბის მუშაობის ზოგიერთ ორგანიზაციულ საკითხებზე, მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და დაცვის გადაუდებელ ღონისძიებებზე ინფორმაციით გამოვიდა შტაბის უფროსი, ქალაქისა და რაიონის პრეფექტის მოადგილე პ. ჩუხუა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ინტერესები მოითხოვს,—თქვა მან,— დროულად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი. საზოგადოებრივ მეურნეობებში დასაქმებულმა გლეხმა, მეიჯარემ უკლებლივ უნდა მიიღოს გაწეული შრომის საზღაური, ხოლო დანარჩენი უდანაკარგოდ უნდა ჩაბარდეს სახელმწიფო ბეღელს. უნდა იცოდეს ყველამ, რომ მარცვლეულის, ყურძნის, თხილისა და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების დატაცების ყოველი ფაქტი აღიქმება როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საბოტაჟი. არც ერთი ასეთი შემთხვევა არ დარჩება მკაცრი რეაგირების გარეშე. არ უნდა განმეორდეს გასული წლების დანაშაულებრივი პრაქტიკა, როცა გამეფებული იყო სრული განუკითხაობა, მოწეული მოსავლის დიდი ნაწილი დატაცებულ და განიავებულ იქნა.

იმისათვის, რომ არ მოხდეს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების გატანა რაიონისა და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, საჭიროა მეზობელი რაიონის მოსაზღვრე სოფლებში მოეწყოს საგუშაგოები და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებთან ერთად დაწესდეს ამ სოფლების საკრებულოთა წევრების სადღეღამისო მორიგეობა, გაზეთ „ოდიშის" რედაქციამ შემოიღოს რუბრიკა „რაიონული შტაბიდან იტყობინებიან" და ამ რუბრიკით სისტემატურად გააშუქოს მოსავლის აღების მიმდინარეობა რაიონში.

სხდომაზე კონკრეტული საქმიანი წინადადებით და შენიშვნებით გამოვიდნენ შტაბის წევრები ს. ლაგვილავა, ი. მესხი, გ. თოდუა, ზ. წულეისკირი, ა. ჭანტურია და სხვები.

შტაბის მორიგი სხდომა [illegible] პარასკევს, 6 სექტემბერს 6 საათზე.

## ზუგდიდის რაიონის საკრებულოს დეპუტატთა საყურადღებოდ!

1991 წლის 6 სექტემბერს 12—საათზე დანიშნულია ზუგდიდის რაიონის საკრებულოს დეპუტატთა პირველი მოწვევის პირველი სესია.

რაიონული საკრებულოს ყველა დეპუტატის დასწრება სავალდებულოა.

ტერიტორიული საარჩევნო კომისია
მისამართი: ზუგდიდი, კოსტავას № 58.

## აქტუალური ინტერვიუ

# მხოლოდ ერთობლივი, თანმიმდევრული მუშაობით

საზოგადოების დიდი ნაწილი ერთნაირად ემდურის ექიმსა და მილიციონერს, მაგრამ რომ გაუჭირდება, ერთსაც მიაშურებს და მეორესაც... ნუ ვიქნებით გაუკითხავნი, რამეთუ მოკვდავნი ვართ და არა ყოვლისშემძლენი ექიმიც ადამიანია და მილიციის მუშაკიც, მოვითხოვოთ მათი შესაძლებლობის მაქსიმუმი, მაგრამ არა შეუძლებელი. მეტი სამართლიანობა გვმართებს. მაგრამ აქ მილიციაზეა ლაპარაკი, მას მეტი შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივ აკეთებს.

დღეს ქართული მილიცია უკვე ჩამოყალიბებული ეროვნული ძალაა, რომელმაც იცის თავისი მაღალი მისია, როლი და მოვალეობა. მისი გმირული თავდადება სამაჩაბლოში და სხვა „ცხელ" რეგიონებში, აღტაცების ღირსია...

ამით დაიწყო ჩვენი საუბარი შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების უფროსთან, მილიციის კაპიტან **თორნიკე ქირიასთან.**

—ბატონო თორნიკე, პირველყოვლისა გთხოვთ მკითხველებს წარუდგინოთ თქვენი თავი და მოკლედ გვიამბოთ იმის შესახებ თუ რამ განაპირობა თქვენი მოსვლა მილიციის ორგანოებში.

—დავიბადე 1956 წელს, ქალაქ ზუგდიდში, დავამთავრე მეექვსე საშუალო სკოლა, ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ვმუშაობდი ფაიფურის ქარხანაში, ვმსახურობდი შეიარაღებული ძალების რიგებში, დემობილიზაციის შემდეგ ვმუშაობდი პარტიის საქალაქო კომიტეტში ინსტრუქტორად, საიდანაც გადამიყვანეს შინაგან საქმეთა განყოფილებაში სამუშაოდ. ამჟამად ვარ იურიდიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსის სტუდენტი, მყავს მეუღლე და ორი შვილი.

—პრაქტიკულად ამჟამად რას ხვდება თქვენი განყოფილება მართლწესრიგის დაცვისათვის და რა ხელისშემშლელ მიზეზებს დაასახელებდით ამ საქმეში, რომელთა გათვალისწინებითაც მოგიხდებათ უახლოეს მომავალში ოპერატიული ვითარების გაუმჯობესება?

—ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც თითქმის 3-4 წლიწადია მოიცვა ქვეყანა, გამოიწვია დანაშაულობათა ზრდა. ამ კუთხით არც ჩვენი რესპუბლიკაა გამონაკლისი. სოციალისტური ეკონომიკის სტრუქტურებმა, რომლის დანგრევისაკენ მიმართულია საქართველოს მთავრობის პოზიცია, ნაყოფიერი ნიადაგი შექმნა დამნაშავეთა სამყაროს პარპაშისათვის. ამასთან ჩვენში ჯერ კიდევ მოქმედებს საკავშირო კანონმდებლობიდან გადმოწერილი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები, დირექტიული მითითებები, რომლებიც ვერ პასუხობენ დღევანდელ მოთხოვნებს და ხშირ შემთხვევაში შესაძლებლობას აძლევენ დამნაშავეს თავი აარიდოს დამსახურებულ სასჯელს.

ბოლო პერიოდამდე მილიციის თანამშრომელი თითონ იყო დაუცველი კანონით, რაც ერთგვარად გაუბედავსა და არაეფექტურს ხდიდა მის საქმიანობას.

აი, ის ხელისშემშლელი მიზეზები, რომლებიც ბოჭავდა ჩვენს მუშაობას. მაგრამ ეს არსებითად არ გვაძლევს თავის მართლების უფლებას საზოგადოების წინაშე, რადგან მილიციაც ბევრ შემთხვევაში თავისი უმოქმედობითა და უტაქტობით სრულიად სამართლიანად განაწყობდა საზოგადოების ჯანსაღ ძალებს ჩვენს საწინააღმდეგოდ. ამის მკაფიო მაგალითები მრავლადაა ჩვენთან. და ყოველი ასეთი ფაქტის გამომჟღავნებას ეძლევა პრინციპული და ობიექტური შეფასებები განყოფილების ხელმძღვანელობის მიერ, რაც გამოიკვეთა იმაში, რომ მარტო წლეულს სხვადასხვა სახის დარღვევებისა და გადაცდომების გამო ჩვენი განყოფილებიდან დათხოვნილ იქნა 27 თანამშრომელი.

— საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის განცხადებაში იყო მოწოდება ჩვენი მოქალაქეებისა და საზოგადოების მიმართ, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ და ხშირი მხარდაჭერა აღმოეჩინათ მილიციის მუშაკებისათვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. როგორი ვითარებაა ამ მხრივ ჩვენთან?

—დაბალი სამართლებრივი ცოდნის დონე მოსახლეობაში დიდ ენერგიასა და დროს ართმევს სამართალდამცავ ორგანოებს, რის გამოც მათ უხდებათ გარკვეული დროით ჩამოშორდნენ ძირითად საქმიანობას და იქცნენ პროპაგანდისტ-აგიტატორებად, მომრიგებელ მოსამართლეებად. ამის ნათელი დადასტურებაა უკანასკნელ ხანს ჩვენს რეგიონში გავრცელებული ისეთი ბარბაროსულ-ვანდალური აქტები, რომელსაც, ალბათ ვერ შეხვდებით მსოფლიოს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებშიც კი. მე მხედველობაში მაქვს მიცვალებულის ამოთხრის, სახლის დარბევა-დაწვის, დამნაშავეთა თუ დაზარალებულთა ნათესაობის წივილ-კივილი მილიციის, პროკურატურისა და სასამართლოს შენობებში. არადა, ყოველივე ეს ხდება საზოგადოების თვალწინ, რომელთა თვითმხილველნი მდუმარედ შეჰყურებენ მოვლენების შემდგომ განვითარებას.

საზოგადოების ასეთი პოზიცია ათამამებს და ხელს აძლევს დამნაშავე პირებისა და მათი „თაყვანისმცემლების" ველურ თარეშს და განუკითხაობას. „რა ჩემი საქმეა" პოზიცია კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ქალაქს და მის მოსახლეობას.

რაც შეეხება ჩვენი ქალაქისა და რაიონის საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ის ყოველთვის მხარში ედგა მილიციას. მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო ო. შენგელიას ქუჩის მცხოვრებლების, ცაიშის, ნარაზენის, კახათის სოფლის საკრებულოების წამოწყება მათს ტერიტორიაზე მორიგეობის შემოღებისა და მილიციელებთან ერთად პატრულირების შესახებ.

—რა კონკრეტული ტენდენციები გამოიკვეთა მიმდინარე წლის 8 თვეში დანაშაულობათა სტრუქტურაში, რომელთა გათვალისწინებითაც შეგიძლიათ მოსახლეობას შეჰპირდეთ შექმნილი ოპერატიული მდგომარეობის სტაბილიზაციას?

—მიმდინარე წლის ექვს თვეში ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე აღირიცხა 366 დანაშაული, რაც 34 ერთეულით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ამასთან სისხლის სამართლის ხაზით რეგისტრირებულია 245 დანაშაული, ანუ 38 ერთეულით მეტი. იმატა ისეთი სახის დანაშაულებებმა, როგორიცაა პირადი ქონების ქურდობა, ყაჩაღობა, იარაღის უკანონო ტარება, ავტომანქანის გატაცება. კლების ტენდენცია შეინიშნება განზრახ მკვლელობებში, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში, ძარცვაში, ხულიგნობაში. დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მძიმე სახის დანაშაულობანი ხდება ჯგუფთა პირების მიერ, რომელთა უმრავლესობა 17-დან 28 წლის ასაკის ახალგაზრდობაა.

ექვს თვეში გასამართლებულ იქნა და საპატიმრო ადგილებში გაიგზავნა 68 დამნაშავე, მაშინ როდესაც გასულ წელს მთლიანად თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაიგზავნა 54 პირი. ჩვენს მიერ დაკავებულ იქნა ბინის ქურდების 3 ჯგუფი, ავტომანქანების დამტაცებლების 2 ჯგუფი, რომლებიც ეწეოდნენ ყაჩაღობას. აგრეთვე ამოღებულ იქნა 25 ცეცხლსასროლი იარაღი: 4 ავტომატი, 8 კარაბინი, 13 რევოლვერი და პისტოლეტი.

1 აგვისტოს, საღამოს 22 საათზე, საკონსერვო ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაკავებულ იქნა ავტომანქანა „ვაზ-2106", რომელსაც მართავდა ჩაის ექსპერიმენტული ფაბრიკის ცეცხლფარეში გელა ხუტას ძე ტყებუჩავა. მასთან ერთად ავტომანქანაში ისხდნენ თამაზ ჯიროს ძე ფირცხელავა, დაბადებული 1966 წელს, მოჭიდავეთა და ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში, ზურაბ იურის ძე ჯოლოგუა—დაბადებული 1966 წელს, ზუგდიდის ზონალური ეკოლოგიური ცენტრის დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილში, ზურაბ დოროთეს ძე ქუხილავა—დაბადებული 1967 წელს, კარატეს მწვრთნელი, ავთანდილ მირიანის ძე კიტია—დაბადებული 1963 წელს, დროებით უმუშევარი.

ავტომანქანის სალონში ჩხრეკისას აღმოჩნდა: ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი 7 საბრძოლო ვაზნით, გადაჭრილი ორლულიანი სანადირო თოფი 60 ვაზნით, უცხოური წარმოების გაზის პისტოლეტი, 4 ცალი სანადირო დანა, 5 ცალი ნიღაბი, ნაჯახი, ორი ცალი ძალაყინი, ხერხი და ხელთათმანები. როგორც წინასწარი მონაცემებით ირკვევა, ამ ჯგუფს დაგეგმილი ჰქონდა თავს დასხმოდა სოფელ კახათში მცხოვრებ ვ-გ-ს ოჯახს. მტკიცებების უქონლობის გამო ა. კიტია განთავისუფლებულ იქნა, ხოლო დანარჩენი 4 პიროვნება აყვანილია წინასწარ პატიმრობაში. ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ჩატარების შემდეგ დადგინდა, რომ ამ ჯგუფს ჩადენილი აქვს სოფელ ინგირში მცხოვრებ ვ. ფაცაციას ოჯახზე თავდასხმა, სოფელ რუხში მცხოვრები ზ. თოდუას გაქურდვა, მცირე საწარმო „ნალიმადან" საზოგადოებრივი ქონების დატაცება-ქურდობა და სხვა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოქალაქე ვ. ფაცაციაზე ყაჩაღური თავდასხმის მომენტამდე, ერთი თვით ადრე, ამ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, ზურაბ ჯოლოგუამ, სოფელ ერგეტაში მცხოვრებ ზაალ ვაჟიკოს ძე მარკოზიასთან ერთად გაქურდა ვ. ფაცაციას სახლი, საიდანაც წაიღეს 15 ათასი მანეთი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ვ. ფაცაცია იმყოფებოდა მეზობლის — გელა შალვას ძე გაბუნიას ქორწილში. ამ უკანასკნელმა ზაალ მარკოზიას აცნობა, რომ სახლის პატრონი მის ოჯახში იქნებოდა ქორწილზე და ამ დროს შეიძლებოდა გაექურდათ „უპატრონოდ" მიტოვებული ოჯახი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება...

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, წლის ბოლომდე მძიმე სახის დანაშაულობათა სტაბილიზაცია მოსალოდნელია.

—რა მიგაჩნიათ პრიორიტეტულ მიმართულებად მილიციის საქმიანობაში.

—დაუნდობელი ბრძოლა ნარკომანიის წინააღმდეგ, რომელიც არის ყველა სახის დანაშაულის ძირი და ძირი.

—რას გვეტყვით დანაშაულობათა გახსნის შესახებ?

—პირდაპირ გეტყვით იმას, რომ ჩვენში დანაშაულობათა გახსნა შეადგენს 47 პროცენტს, მაშინ როდესაც საერთო რესპუბლიკური მაჩვენებელი 52 პროცენტის ტოლია. დამამშვიდებელი ციფრები არ გახლავთ, მაგრამ არც მილიციის უმოქმედობა ჩანს.

—საინტერესოა, თუ გიცდიათ ზუგდიდის „კანონიერი ქურდების" დაპატიმრება...

—წლეულს ჩვენს მიერ დაკავებულ იქნა „კანონიერ ქურდთა" ერთ-ერთი წარმომადგენელი შ. კაკაჩია. ხოლო ჩემი აზრი ამ საკითხის ჭრილში ის გახლავთ, რომ მილიციას არამც და არამც არ ექნება ავტორიტეტი და ღირსება მანამ, სანამ არხეინად გრძნობს თავს „კანონიერი ქურდი". ასე რომ, ჩვენი საქმიანობის რაციონალური მარცვალი გახლავთ ქალაქის გაწმენდა ამ კატეგორიის „მოღვაწეებისაგან".

—როგორ გესახებათ მომავალში საზოგადოებრივი წესრიგისა და ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობის პერსპექტივა ზუგდიდში?

—ბოლო თვეებში უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული ცვლილებები და დამატებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ერთგვარად დადებით ზეგავლენას მოახდენს ჩვენს მუშაობაზე. ამჟამად მიმდინარეობს სამსახურების რეორგანიზაცია და გადახალისება განყოფილებაში, ცალკე შეიქმნა მილიციის ქვეგანყოფილება ენგურქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე, რომელიც მოემსახურება ახალაბასთუმანს, კახათს, დარჩელს, ინგირს, ორსანტიას, შამგონას, კოკსა და განარჯიის მუხურს. რეგულარულად მოეწყობა გამსვლელი, ოპერატიულ-პროფილაქტიკური რეიდები. ასეთი გახლავთ პერსპექტიული მუშაობის არასრული ნუსხა.

ესაუბრა **თამაზ როგავა.**

## გეგმის ზევით 150 ტონა

[illegible]რცხელის კოლმეურნეობის [illegible]სავლის ძირითადი წყარო [illegible] კულტურა. 22 აგვისტოსათვის [illegible] იყო 1180 ტონა [illegible] ფოთოლი, რაც წლიური [illegible] 80,2 პროცენტია. 20 [illegible]ისტოსათვის გეგმა შეასრულა № 4 ბრიგადამ, რომელსაც ვარლამ კვარაცხელია უძღვება. ამ ბრიგადამ მოკრიფა 130 ტონა ნედლეული.

გეგმის შესრულებას უახლოვდებიან ის ბრიგადები, რომელთაც [illegible], [illegible] ლაგვილავა, ამირან და გიორგი კვარაცხელიები ხელმძღვანელობენ.

გეგმის ზევით მოიკრიფება 150 ტონა. გეგმის ზევით მოკრეფილ ერთ კილოგრამ ჩაის ფოთოლში მეჩაიე მიიღებს ერთ მანეთს.

**შ. ჯიბლაძე,**
კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი.

## გამოცდამ წარმატებით ჩაიარა

მარნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში ექსპლუატაციის რეალურ პირობებში გამოსცადეს დიდტვირთიანი ავტომობილები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრაზე შემუშავებული სათბობის ხარჯვისა და ტექნიკური ზემოქმედების რეჟიმის ოპტიმალური ნორმების დადგენის შემოთავაზებული სიახლე მოთხოვნათა დონეზე ავტომობილების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებაზე გაწეული ხარჯების შემცირების საშუალებას იძლევა. გამოანგარიშებულია აგრეთვე ეკონომიკური ეფექტიანობა — თითოეულ მანქანაზე წელიწადში დაიზოგება 800 მანეთი. (საქინფორმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვესაუბრება ფერმერი

# ყველაზე საიმედო გზა

ოროოდე წლის წინ ესტონეთში მომიწია ჩასვლა. იქ შევხვდი ფერმერს, ვესაუბრე, მან ბევრი სასარგებლო რჩევა და ჭკვიანი იდეა შემომთავაზა და აღმითქვა დახმარებაც. წამოსვლის დღეს წესდებისა და ხელშეკრულების რუსულად გადაღებული ასლებიც გადმომცა. როცა დავბრუნდი, ვისაც კი ვესაუბრე ჩემი ჩანაფიქრის შესახებ, სასიცილოდ არ ეყოთ. მაგრამ შვიდი თვის ბრძოლის შემდეგ მივაღწიე შემექმნა ხასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის ფერმერული მეურნეობა.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში მოქალაქე მიდის მუნიციპალიტეტში, იხდის გარკვეულ თანხას, შემდეგ მის საქმიანობას აფიქსირებენ და მერე იგი უფლებამოსილია რაც უნდა აკეთოს, ოღონდაც სარგებელი მოუტანოს ქვეყანასა და საკუთარ თავს. მხოლოდ ესაა, ისეთი რამ არ უნდა ჩაიდინო, რაც ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას და ზიანს მოუტანს ადამიანებს ან გარემოს.

ესტონეთში შექმნილია ფერმერული მეურნეობები საკუთარი ტექნიკა-მოწყობილობებით. ფერმერულ მეურნეობებს ეძლევათ სახელმწიფო სესხი 15 წლის ვადით. გადახდა იწყება ხამი წლის შემდეგ. მიწა არენდით ეძლევათ 30 ჰექტარის ოდენობით, თითოეული ჰექტარი — 50 მანეთად. ამასთანავე ხელშეკრულებაში განსაზღვრულია, რომ თუ ფერმერმა გაამართლა და ხათანადოდ წარმართა საქმიანობა, სახელმწიფო უსასყიდლოდ გადასცემს მას ჩამომავლობას იმ 30 ჰექტარ მიწას 25 წლის გასვლის შემდეგ.

ფერმერი თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან ხამი წლით. მხოლოდ ელექტროენერგიის ხარჯის ხუთ პროცენტს იხდის. რაც შეეხება საწვავ-საცხებს, ღებულობს ლიმიტირებულად, თავის ფასებში. ხამი წლის გასვლის შემდეგ ფერმერი ვალდებულია გახსნას მისთვის მოხახერხებელ ადგილზე სოფლის მეურნეობის ნაწარმის ხარეალიზაციო ობიექტი, სადაც ნაწარმი გაიყიდება 200 პროცენტი ფასდაკლებით (ბაზართან შედარებით); აგრეთვე შეუძლია გახსნას ყველა სახის საზკვების საწარმო...

ფერმერული მეურნეობის მოწყობით დაინტერესებულმა ერთ მშვენიერ დღეს დავტოვე თბილისი, შევიძინე საჭირო ტექნიკა, კამერები — საინგილოში, ინგლისური ჯიშის ღორები — ესტონეთში, ანგარიში გავხსენი ბანკში, 30 ჰექტარი მიწის ფართობი არენდით ავიღე სენაკის რაიონის ზემო ქალადიდში და ფიზიკურ შრომას მივყავი ხელი.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიესალმებიან ახლად „დაბადებულ" ფერმერსა და საზოგადოების ხასიკეთოდ გამდიდრებულ ადამიანს. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც. ჩემი მშობლები ლიდა და ანტონ იზორიები შეეწირნენ სოფლის ცხოვრების მოშლას. სადღეისოდ სოფელი კი არ ცოცხლობს, არამედ სული უდგია მხოლოდ. ჩემი ოჯახი რწმენითა და იმედით ცხოვრობს. რწმენამ, მამის სულის არდავიწყებამ მიმატოვებინა 30 წლის შემდეგ თბილისი. ფერმერობა ყველაზე სწორი გზაა, დამიჯერეთ და მენდეთ ამაში. ფერმერს ყველა გზა ხსნილი აქვს მსოფლიოს — ყველა კუთხეში, ფერმერს ყველა პატივისცემით ექცევა და ეს იმიტომ, რომ ადამიანის არსებობის პირველწყაროს ქმნის: ბუნება — დაიგბადა, მიწა — წყალს, ფერმერი — ხაკვებს; ფერმერს ხაქმე აქვს უტყვ, ცოცხალ არსებასთან, მე და ჩემი ოჯახის ყველა წევრს თითოეული ცხოველის „ხიტყვა ესმის"...

დღეს უჭირს საქართველოს, უჭირს ყველა ოჯახს, გვიტევს ბუნებაც. სოფლიდან იძულებით წასულო ადამიანებო, ჩემხავით დაუბრუნდით თქვენს მშობლიურ კუთხეს, შეიყვარეთ გარჯა. კი, ვიცი, შეგხვდებათ არაერთი ბარიერი, მაგრამ გჯეროდეთ, რომ თქვენ გაიმარჯვებთ, რადგანაც ღმერთი თქვენსკენაა.

ელგუჯა იზორია,
ფერმერი, სოფ. ქალადიდი.

# ფართო გზა შერეულ ეკონომიკას

ლრომ მთელი სიმწვავით დააყენა ეკონომიკის მაქსიმალურად ლიბერალიზაციის აუცილებლობა. ცენტრალიზებულმა დაგეგმვამ თუ რა ზიანი მოუტანა ჩვენს სახალხო მეურნეობას, ყველასათვის გასაგებია. ავტორიტარული სისტემის მიერ მწარმოებლისათვის თავს მოხვეულმა დოგმატურმა სტრუქტურებმა შეაფერხა განვითარება, ხელ-ფეხი შეუბორკა ყოველნაირ ინიციატივას, ჩაკლა შემოქმედებითი მეურნული ალღო. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლმა რესპუბლიკამ, მისმა მოსახლეობამ საბოლოო უარი თქვა კომუნისტურ ტოტალიტარიზმზე, ძველი სტრუქტურების საცეცები დღემდე უჭერს წარმოების მესვეურთ. გასაგებია ხელისუფალთა კურსი: ხელი შეუწყონ მრავალვარიანტულ ეკონომიკას, თავისუფალ მეწარმეობას. ამასთან რიგ სფეროებში გეგმაზომიერად განახორციელონ სახელმწიფო შეკვეთის შენარჩუნების პოლიტიკა. სწორედ ამ ტენდენციის წარმატებით განხორციელებას ემსახურება საწარმოთა გარკვეული კატეგორიის პრივატიზების კანონი, რომელიც უდაოდ მიანიჭებს ახალ, მძლავრ სუნთქვას რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარებას.

ჩვენი რეგიონის საწარმოები და ფირმები, კოოპერატივები და ასოციაციები გულმოდგინედ ეძებენ წარმოების მართვის რეორგანიზაციის გზებს, ამკვიდრებენ განახლებულ სტრუქტურებს. ყველა დონის მუშაკი, სპეციალისტი, თუ არასპეციალისტი დღეს რწმუნდება, რომ საქმის ყაირათიანი გაძღოლისათვის უნდა აღიჭურვოს ეკონომიკური ცნებებისა და ტერმინების ახლებური ცოდნით. საჭიროა აღნიშნულ სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ღრმად გაცნობიერება. ნაბიჯს ვერ წაადგამ წინ მარკეტინგის ძირითადი ელემენტების არსში გარკვევის გარეშე. უნდა შეგვეძლოს პარტნიორებთან გონივრული კონტაქტების დამყარება. ბუნებრივია, ნებისმიერ სამეურნეო-კომერციულ საქმიანობაში მოიგებს ის, ვინც თავიდანვე შეეცდება მოიპოვოს საქმიანი, საიმედო, პირგამტეხელი პარტნიორის რეპუტაცია. ეს ყველაზე რთული ამოცანაა დღევანდელი მეურნისთვის, ვისაც ყოველ ნაბიჯზე მწარედ ახსენებს თავს სამეურნეო კავშირების არასტაბილურობა, მომწოდებლის არასაიმედოობა, სხვადასხვა რესურსების, მაკომპლექტებული ხელსაწყო-დანადგარების მიღების დაბალი გარანტია და ა. შ.

დიახ, ყოველი საწარმო დღეს განუზომელი სიძნელეებისა და წინააღმდეგობების პირისპირ აღმოჩნდა, სხვა ფაქტორებთან ერთად დასაძლევია ძველებურად მუშაობის ფსიქოლოგია, წარმოებითი ურთიერთობების ყავლგასული სისტემა. ამ მხრივ გარკვეულ გამოცდილებას აგროვებენ საწარმოო გაერთიანება „საქქალაქდმრეწვი", ჩაის ექსპერიმენტალური ფაბრიკა, ფაიფურის ქარხანა და ა. შ. ხელშესახებ ეფექტს აღწევენ ცალკეული კოოპერატივები და ასოციაციები, მაგრამ უფრო მეტად იკვეთება ისეთი სტრუქტურების დაბალეფექტური ფუნქციონირება, რომლებიც არც თავს არგია და არც სახელმწიფოს. და ამის ერთერთი მიზეზი ისიცაა, რომ არ ცდილობენ ცოდნის, კვალიფიკაციის ამაღლებას. დღეს, შერეული ეკონომიკის, თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მომძლავრების პირობებში ძველი მარაგით ფონს ვერ გახვალ. შეუძლებელია რაიმე შედეგზე ფიქრი, თუ ვერ წვდები ბირჟის, ბროკერის ფუნქციონირების, ბიზნეს-გეგმის შემუშავების უფაქიზეს სპეციფიკაში.

ერთი სიტყვით, მოქმედების გეგმა და ორიენტირები გამოკვეთილია. ეს პროცესი თავის თავში შეიცავს ძველი სტრუქტურებიდან ახალ საბაზრო მექანიზმზე გადასვლის გარდუვალობას. მაგრამ არა ძველის ხელაღებით მოშლის, დანგრევის, არამედ თანმიმდევრული ტრანსფორმაციის გზით. [illegible] საბაზრო ეკონომიკასთან სწორი, ცივილიზებული გზით.

მოვლენების ცხელ კვალზე

# იტყობინებიან თვითმხილველები

იგი, დიმიტრი იაზოვი, ბატონის იერით ავიდა თვითმფრინავის ტრაპზე. ასეთივე იერით ჩამოვიდა იგი თვითმფრინავიდან მოსკოვში. როდესაც გაემართა აეროპორტის შენობის მიმართულებით, მას უკან, როგორც ყოველთვის, დაედევნა ჩვეულებრივი გუნდი ადამიანებისა —რომლებიც ასრულებენ პირადი დაცვისა, თუ მდივნების ფუნქციებს. (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ამ გუნდში უმრავლესობას შეადგენდნენ გადაცმული მუშაკები რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროდან). მაგრამ დაირღვა ჩვეულებრივი განრიგი: კარებამდე ოციოდე მეტრის მოშორებით თანმხლები პირნი მარშლის გარშემო სამივე მხრიდან შემოეწყვნენ. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ვიქტორ ბარანიკოვი მხრებზე ხელს უთათუნებს და იაზოვს პირად მცველს და ეუბნება: „გეყოფა, შენ უკვე საკმაოდ იმსახურე". ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თ. იაზოვს თითქოს არ ესმის ეს სიტყვები. კიდევ ათიოდე ნაბიჯი და... მარშალმა, თვალი მოკრა რა კარებში ჩამდგარ ფიგურას, გადაულაპარაკა გვერდით მიმავალ ბაკლანოვს და ტიზიაკოვს: „დახეთ, მე მგონი უკვე მაპატიმრებენ".

იგი არ შემცდარა. „თუ შეიძლება, გამომყევით"... და თავდაცვის მინისტრმა ხელები ზურგს უკან შემოიწყო.

როცა მანქანაში ჯდებოდა, დანაღვლიანებულმა იაზოვმა სალონში ქუდი მოისროლა. როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, მან ჩაილაპარაკა ასეთი რამ: „აი, ხედავ, ვერ მოვასწარი..."

* * *

ვ. ა. კრიუჩკოვი უფრო მშვიდად შეხვდა თურმე დაპატიმრებას. მაგრამ ამ ოპერაციის მონაწილენი ამდაგვარ სიმშვიდეს მისი თვითფლობის უნარით კი არ ხსნიან, არამედ სხვა რამით. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა დუნაევმა განაცხადა: „რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ კრიუჩკოვი და გადატრიალების სხვა მონაწილენი ბოლომდე ვერ იცნობიერებენ ჩადენილ დანაშაულს. როცა ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს გკითხე მოსალოდნელი სასჯელის შესახებ, მან გაიკვირვა და მიანიშნა შემდეგი: მომავალი სასამართლო არ მოუტანს სახელს და ავტორიტეტს არც რუსეთს და არც კავშირს".

„კომსომოლსკაია პრავდა" 23 აგვისტო — 1991 წ.

# კეთილი ტრადიციები გრძელდება

ჩემს ბავშვობისას, ეს მაშინ როცა ჯერ კიდევ ახე კომპაქტურად არ იყო დასახლებული მექალალდეთა მიკრორაიონი, მეორე უბანში იყო აფთიაქი. მახსენდება როგორ მიხაროდა იქ მისვლა იმის გამო, რომ დამხვდებოდა გულნაზი დეიდა... თითქმის ყველა ახე ეძახდა აწგარდაცვლილ ქალბატონ გულნაზ მოსეშვილს. მაშინ აფთიაქში სულ ორიოდე ადამიანი მუშაობდა და ერთ ციცქნა ოთახში იყვნენ მოთავსებული. მიუხედავად ამისა მოსახლეობა დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა მათი მუშაობით. იქიდან პაციენტები არა მხოლოდ წამლებით, არამედ თბილი ღიმილითა და მზრუნველი მოპყრობით ნასიამოვნები გამოდიოდნენ.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მექალალდეთა დასახლება ქალაქის ულამაზესი ნაწილი გახდა. მრავალმა სოციალური მომსახურების ობიექტმა იზეიმა ახალმოსახლეობა და მათ შორის ზუგდიდის სააფთიაქო სამმართველოს მეხამე აფთიაქმაც.

ამ ჩვენს გაჭირვებულ დროში, როდესაც ყველაფერი დეფიციტია და მათ შორის მედიკამენტები, ხაოცარი გულისხმიერებით ემსახურებიან ადამიანებს აფთიაქის მესვეურნი.

აფთიაქის გამგემ ბატონმა კაპიტონ თოდუამ აღნიშნა, რომ ძალზედ ძნელია დღევანდელ პირობებში წამლებით დააკმაყოფილო ხალხი, მაგრამ გულმა როგორ უნდა გაგიძლოს, რომ გაჭირვებულს არ დაეხმარო, წამალი არ უშოვო.

დიახ, პროფესიას არ ეღალატება. ბატონი კაპიტონი ცნობილი პროვიზორია, იგი 40 წელია შრომობს ამ სისტემაში.

ხოლო რაც შეეხება აფთიაქის თანამშრომლებს ჩვეულებისამებრ გრძელდება კეთილი ტრადიციები. პროფესიონალიზმითა და საქმის სიყვარულით შრომობენ რეცეპტორი დენიზა ჯანაშია, ასისტენტი ნანი აქუბარდია და სანიტარი ლიანა შამუგია.

ადამიანური სითბოს და ყურადღების დეფიციტის პირობებში რა დროსაც გინდათ მოხვდეთ აფთიაქში უმალ იგრძნობთ, რომ ჯერ კიდევ არა ვართ გაციებულები ერთმანეთის მიმართ, თუ რომელიმე წამალი არა აქვთ უმალ მიგასწავლიან რომელ აფთიაქში შეიძლება იყოს, ან ეცდებიან გამოგინახონ შემცვლელი.

იქიდან გამოსულს რამდენჯერ მიფიქრია, რატომ არ შეიძლება ყველგან, ყველაფერში ვიყოთ უფრო მეტი ყურადღებიანი ერთმანეთის მიმართ.

აფთიაქი ისეთი ორგანული ხხეულია ჩვენი ცხოვრებისა არ შეიძლება სხვანაირი წარმოიდგინო, მაგრამ რა ხდება სხვა დაწესებულებებში, როგორც გულგრილობა სუფევს ირგვლივ.

ამას წინათ ერთი. ცნობის ალება დამჭირდა. ჯერ რამდენი ხანი ველოდე, შემდგომ ინსტანციაში მიხულმა განრახვება ვერ დავმალე იმის გამო, რომ ადამიანმა, რომელსაც ევალება მშრომელების მომსახურება, ვერ მოიცალა ნორმალური პასუხი მაინც გაეცა, რადგანაც ქსოვდა.

მე მგონი დამაფიქრებელია! ერთმა ღიმილიანმა პასუხმა როგორ შეიძლება გასიამოვნოს და უტაქტო მოპყრობამ კი აგიწეწოს ნერვები. და საერთოდ ვეცადოთ გულები გავუთბოთ ერთმანეთს!

ლალი ჯოლოხავა

# მოდი, ვნახოთ გედი...

დადიანისეული ბაღის ტბაში წინათ ორი გედი ისხდა. მდედრი თოვლივით თეთრი იყო, მამრი კი შავი. ერთად დაცურავდნენ ყელიყელგადაჭდობილნი. მერე, მდედრი მომკვდარა, რატომღაც. მას შემდეგ, შავ გედს მოეწყინა. კითხვის ნიშანივით მოირკალავდა კისერს და სევდიანად დასცქეროდა წყალში არეკლილ საკუთარ პროფილს. შელამებულზე კივილს მორთავდა. ვერა და ვერ შეგუებოდა ობლობას, შავი გედი.

ერთ დღეს ჩემმა, ბიჭმა მითხრა, გედი ვინახულოთო. წავედით კიდეც. მაგრამ, ჩვენდა გასაოცრად, ტბაში გედი არ დაგვიხვდა. „სად არის მამი გედი?"— მეკითხებოდა შვილი დაჟინებით და სასოწარკვეთილი თვალებით ათვალიერებდა ცარიელ ტბას. თან, ფრინველისთვის წამოღებული პურის ნაჭერს, პაწაწა ხელში რომ ჩაებღუჯა, ნერვიულად წიწკნიდა.

ის, რაც ბაღის თანამშრომელმა მითხრა, ბავშვს დავუმალე, გული რომ არ ტკენოდა. გედი თურმე ძაღლს შეეჭამა...

ყველა ზუგდიდელი, რითაც სტუმარს თავს ვაწონებთ, ბოტანიკური ბაღი და დადიანისეული სასახლეებია. ჩვენმა გულგრილობამ და უყურადღებობამ კი შესაძლოა ამ უნიკალური ადგილს, ისედაც შელანძღული იერსახე, უფრო დაუმახინჯოს.

გედები უკვე აღარა გვყავს. უსუფთაობაა ბაღშიც. მანქანები წარამარა დაჭირითობენ მუზეუმის მიდამოებში. მანქანებს ტოლს არც პირუტყვები უდებენ. რა ვქნათ? რითი ვუსაშველოთ წინაპართა პარნასს?!

ვფიქრობ, მოზაიკური ლობით გადაიკეტოს ბაღში შესასვლელი ადგილი, სტადიონის ჭიშკართან. შესვლა კი ფასიანი დაწესდეს. სახახლის მიდამოებიდან უნდა ალებულიქნას ატრაქციონები, ვიდეოსა თუ ყავის სახარში ჯიხურები. ეს ატრიბუტები აქაურობისათვის დისონანსურია, პარკისთვის კი ზედგამოჭრილი იქნება. გამონთავისუფლებულ ადგილას სხვა და სხვა ჯიშის ხეები უნდა დაირგას, და სკამები დაიდგას. უნდა ამუშავდეს შადრევანა.

ბაღს წარსულის იდილია უნდა დაუბრუნდეს, ეს საშურისაქმე კი, სასურველია, ზუგდიდის საკრებულომ ითავოს.

ზვიად ჭურღულია,

მარიამობისთვის — 27.

ბატონ ნოდარ ნიკოლოზის ძე ცანავას ვულოცავთ დაბადების დღეს. და ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში.

**ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი**
**(დავით აღმაშენებლის ქუჩა № 4)**

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (უმაღლესი ჯგუფი)

**6 სექტემბერი** სათადარიგო შემადგენლობა
**„ოდიში" ზუგდიდი — „სამტრედია" სამტრედია**
დასაწყისი 16 საათზე

**7 სექტემბერი** ძირითადი შემადგენლობა
**„ოდიში" ზუგდიდი — „სამტრედია" სამტრედია**
დასაწყისი 17 საათზე

**10 სექტემბერი** სათადარიგო შემადგენლობა
**„ოდიში" ზუგდიდი — „ამირანი" ოჩამჩირე**
დასაწყისი 16 საათზე

**11 სექტემბერი** ძირითადი შემადგენლობა
**„ოდიში" ზუგდიდი — „ამირანი" ოჩამჩირე**
დასაწყისი 17 საათზე

წვიმიანი ამინდის შემთხვევაში სათადარიგო შემადგენლობის თამაშები გაიმართება ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის სტადიონზე.

სტადიონზე შესასვლელი ბილეთები გაიყიდება 6, 7, 10, 11 სექტემბერს, ხოლო ლატარიის ბილეთები 6, 7 სექტემბერს, დილის 10 საათიდან ცენტრალური სტადიონის სალაროებში, 26, 27 აგვისტოს ასევე 6, 7 სექტემბერს გაყიდული ლატარიის ბილეთების მოგებათა ტირაჟი გაიმართება 7 სექტემბერს თიხბურთის დამთავრების შემდეგ. ლატარიის გათამაშებაში შემოვა მოიგებისა: ფერადი ტელევიზორი 4 ცალი, სარეცხი მანქანა 5 ცალი, [illegible] 3 ცალი.

**საფეხბურთო კლუბი „ოდიში"**

ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის კოლექტივი მწუხარებით იუწყება ქარხნის დირექტორის ყოფილი მოადგილის

**ჯემალ პორფირეს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძმა ნიკოლოზ აფაქიძე, რძალი მაცია, შვილებით ოთარი, კოტე, ლია, გურამი, ნონა, მარინა, რძლებით ინეზა, მზია, ნატა, სიძეებით კოტე გობეჩია, ლევან ბეჟვაია, ზურაბი ჩიქავა ოჯახებით იუწყებიან

**მელიტონ ლევანის ძე აფაქიძის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა 5 სექტემბერს, ქ. თბილისში, გამოსვენება ბარნოვის ქ. №121-ა-დან.

ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექცია, პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ვალიკო შონიას, დედის

**ლიდია მალხაზის ასულ შეროზია-შონიას**

გარდაცვალების გამო.

ბელა, ია, ფერიდე, ზაური ბულიები, ლია, თამაზი სოსელიები თანაუგრძნობენ ნელი აფაქიძეს მამის

**მელიტონ ლევანის ძე აფაქიძის**

გარდაცვალების გამო.

კახათის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ლუიზა ჯვერენაიას ძმის

**გივი გელენავას**

გარდაცვალების გამო.

ჩიტო, ბაჟია, ტანია, ირაკლი, დიანა კვიციები იუწყებიან

**გივი მიხეილის ძე გელენავას**

გარდაცვალებას.

ზუგდიდის იურიდიული კონსულტაციის, სასამართლოსა და პროკურატურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ჟუჟუნა აბრალავას დის

**ლუცია აბრალავას**

გარდაცვალების გამო.

ნანი და თორნიკე ქირიები იუწყებიან

**ჯემალ პორფილეს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**ქ. ზუგდიდის მერაბ კოსტავას სახელობის № 2 საშუალო სკოლა**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მე-5 კლასის ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო საგნების გაძლიერებული სწავლების შესაბამის ჯგუფებში.

მიღება იწარმოებს 5 სექტემბრამდე.

აღნიშნულ ჯგუფებში მიიღება განსაკუთრებული ნიჭის მქონე მოსწავლეები.

**სკოლის დირექცია**

დავით აღმაშენებლის ქ. № 7

ოლა მარგო, მეუღლე ნუნუ, შვილები: კახა, იკა, დათა, დალეილა, ძმა დათო, მამიდა ხუტა, ბიძაშვილი ნონა კიკავა, რძლები: მაია ცანავა, ნონა გოგოხია, მიმოზა პატარაია, ფატიმა ბენდელიანი, სიძეები: იგორი ოთხოზორია, ბადრი შამუგია, ძმისშვილები: მაკა, ეკა, ალიკა კიკავები, დისშვილები: მელორი, რობერტი, ლალი ოთხოზორიები, ბიძები: ვაჟა, ბიჭიკო ხუნჯურუები, ლუდა თოლორაია, რობიკო შაყულაშვილი, მურმან ასათიანი, დეიდები: ლამარა, ვამეკო, გული ხუნჯგურუები, ბიცოლები: ციალა ჩიტაია, ნაზო ხუფაცარია, სიდედრი მაგული, ცოლისძმები: ონერი, ოთარი, ვალერი, ლადო, ვიღხვია ფაცურიები, ქვისლები მარლენ პირველი, სტიოპა გევორკიანი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ოთარ დაფენტის ძე კიკავას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 4, 5, 6 სექტემბერს დაკრძალვა 7 სექტემბერს ორსანტიაში.

მეუღლე მიშა, შვილი ბადრი, დიბი: მარგო, ნათელა ძმა ჯოკო სიჭინავა, რძლები: მანანა გიორგაძე, რაისა სიჭინავა, შვილიშვილები: მიშა, ბელა, დისშვილები: დარეჯანი, მაია, ლეილა, ლილული, გული ლამზირა კარტოზიები, რამაზი ჯანაშია, ძმისშვილები: ჯემალი, გოგლა, თამაზი, რევაზი, ნაირა, ციცანა, ლეილა სიჭინავები, სიძე დავით ჯანაშია, მულები: მარგო ჰანტურია, მარგალიტა ქებურია, ნინა თირქია, ნადია ჯიქია ოჯახებით, მზახოლი ქიანთრი, ჟორა გიორგაძეები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ბაბუცა ბათლომეს ასულ სიჭინავა-სახურიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 4, 5, 6 სექტემბერს, დაკრძალვა 7 სექტემბერს, ინგირში, გამოსვენება ბარათაშვილის ქ. № 69, 6 საათზე.

## ცხენოსნებმა გვასახელეს

ზუგდიდის სამეურნეობათაშორისო საცხენოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია (დირექტორი კარლო ხარებავა) ყველაფერს აკეთებს სპორტსმენი მხედრების მაღალ დონეზე აღზრდისათვის. ენერგიასა და გამოცდილებას არ იშურებენ რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი კლიმენტი ხარებავა, მწვრთნელები ანზორ შონია, ნუგზარ ზარანდია, გრიშა ქოჩქიანი, ოთარ ჯაფარიძე და სხვები. სწორედ სწორმა და მიზანმიმართულმა სასწავლო-საწვრთნო მუშაობამ განაპირობა ჩვენი მხედრების წარმატებები ცხენოსნურ შეჯიბრებებში.

წლეულს, აგვისტოს პირველ ნახევარში ქალაქ ოჩამჩირეში ჩატარდა რესპუბლიკის ჭაბუკთა და მოზარდთა პირად-გუნდური პირველობა ცხენოსნობის კლასიკურ სახეობებში, სადაც მონაწილეობდნენ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტული სკოლის, ქალაქ თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზის, ოჩამჩირის, ფოთის, წალენჯიხის, გულრიფშისა და ზუგდიდის სპორტკლუბების ცხენოსანთა გუნდები.

აღნიშნულ შეჯიბრებაში ჩვენმა მხედრებმა 364,5 ქულით დაიკავეს პირველი ადგილი და გახდნენ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის ჩემპიონები. მეორე ადგილი დაიკავა განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული საცხენოსნო სპორტსკოლის გუნდმა, მესამე-მეოთხე ადგილებზე გავიდნენ თბილისის საცხენოსნო სპორტული ბაზისა და ოჩამჩირის საცხენოსნო სპორტკლუბების გუნდები.

საერთო გუნდურ გამარჯვებაში განსაკუთრებული წვლილი უდევთ და ჩინებულად იასპარეზეს ზუგდიდელმა ცხენოსნებმა: რამაზ ლაგვილავამ, ლევან შანავამ, ოთარ ქითანავამ, ბადრი ანთიამ, ლექსო თოდუამ, გურამ როგავამ და სხვებმა.

ამჟამად ჩვენი ცხენოსნები აქტიურად ემზადებიან სრულიად საქართველოს სპორტული თამაშებში მონაწილეობისათვის, რომელიც პირველად ტარდება რესპუბლიკაში.

ა. გულია,

საცხენოსნო სპორტული კომპლექსის ინსტრუქტორ-მეთოდისტი.

## ჯ. პ. ფარცვანია

ნაადრევად — 55-ე წლისთავზე სამუდამოდ დადუმდა მისი კეთილი და მოსიყვარულე გული. წავიდა ჩვენგან თავმდაბალი, უხმაურო, ნამდვილი ქართველი, დიდებული მეოჯახე, ჭირსა და ლხინში მარად საიმედო კაცი, რომელიც უშიშრად შეხვდა სიკვდილსაც და წუთისოფლიდან მიმავალი, დარჩენილთათვის ზრუნავდა: საავადმყოფოში, რალაც წუთებში, სულისა და ხორცის გაყრისას ოჯახის წევრები გააფრთხილა — ნუ იხმაურებთ, აქ ავადმყოფებიაო.

ხანმოკლე, მაგრამ პატიოსანი და შინაარსიანი გზა განვლო ჯემალ პორფილეს ძე ფარცვანიამ. იყო მუშა, ინსტრუქტორი, ეკონომისტი, „ზუგდიდვაჭრობის" მმართველი, ენგურჰესის კასკადის დირექტორის მოადგილე, ფაიფურის ქარხნის დირექტორის მოადგილე. სადაც კი უმუშავია, მცირესა თუ დიდ შრომით კოლექტივებში, ყველგან გამორჩეული იმხი და ბეწი ახლდა მის ურთიერთობას ადამიანებთან. ამიტომ უყვარდათ იგი და პატივს სცემდნენ. დაფასებაც არ მოკლებია მის უანგარო შრომას. კეთილსინდისიერი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა ჯილდოები.

მშვიდობით კეთილშობილო ადამიანო, ჩვენო ჯემალ! მსუბუქი იყოს შენს მკერდზე მშობლიური მიწა.

**ამხანაგების ჯგუფი.**

რედაქტორი
**აკ. შანტურია.**

შვილები: გოგო, ჟორა, ნუნუ, მარგო, რძლები: თინა მებონია, თამილა კალანდია, ბუქლუ გოგოხია, დები: ცურუ, ქსენია, ლუნა, ვენერა, სიძეები: გედევან ფეტელავა, რევაზ ზარქუა, ზური წულეისკირი, ვიტალი ქვანია, შვილიშვილები: თამილა, მერაბი მებონიები, ხათუნა, მალხაზი, დათო შედანიები, გოგი, გია, გიული ფეტელავები, იაგო, მანანა, ირინა, ზარქუები, მულები: ეკატერინე, პოლია, მაზლიშვილები მურმანი, ნანი, მზია შედანიები, მულიშვილები კატიშა, იურა თორდიები, თინიკო მზევი, გული წულაიები, დისშვილები: გულადი ცირდავა, არონი იროლა, როლანდი, როენა, გურიანდი თოლორდავები, მილური, თემური, თამაზი ბეჟვაიები, ნანი, ინილი, ლევანი ფარულავები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ნაზია (მანუჟა) კალისტრატეს ასულ მორგოშია-შედანიას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6, 7 სექტემბერს. დაკრძალვა 8 სექტემბერს გამოსვენება წერეთლის № 16.

დიდა ზინა, მეუღლე ფენია, შვილები: ალექსანდრე, დარეჯანი, დები: ვენია, როზა, თინა, ძმები: ჯემალი, არდაშელი, მამიდა სანა, რძლები: ლამარა, მარინა, იზოლეილა სიძეები: გურამი მიქავა, ჯუმბერი ჭოჭუა, ბესიკი კვარაცხელია, ბიძია ჯოტო ჭურღულია, დეიდა ეთერი ქუხილავა, დისშვილები: პაპუნა, ხათუნა, ლიანა, ლონდერი, მზევარი, გია ინდირა ანზორი ძმისშვილები: ირმა, ელისო, ვახტანგი, ემზარი, გია ცოლისდა ნელი, ცოლისძმა გურამი ბელქანია, ქვისლი რეზო ქარდავა, ბიძაშვილები: დეიკო, ციალა, იურა, ჯუმბერი, ჯიმშერი, ჯენერი, დეიდაშვილი ჯამბული ქუხილავა, მამიდაშვილები, ლიდა, ბონდო, იაშა მხეიძეები, ნუგზარი კორკელია, ახლო ნათესავები იუწყებიან

**ზაურ დიმიტრის ძე ხუბუას**

გარდაცვალებას, პანაშვიდი 6, 7, 8 სექტემბერს, დაკრძალვა 10 სექტემბერს, სოფ. შამგონაში.

ნინა და გიორგი მიქავები ოჯახით იუწყებიან

**ჯემალ პორფილეს ძე ფარცვანიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინდექსი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56 ტელეფონები: რედაქტორის 2 24 80 რედაქტორის მოადგილის 2-33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21 78, მშრომელთა წერილების 2 25 12, [illegible] 2 47 00.

ბეჭდვითი სიტყვის საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №50, 2 23 07, ტირაჟი 4000 შეკ. № 4064